

დაშვებები და ძირითადი პრინციპები

განყოფილება 2 - დაშვებები და ძირითადი პრინციპები

ანაზღაურებადი ღირებულება

2.242.25

ანაზღაურებადი ღირებულება - თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აქტივიდან.

ანაზღაურებადი ღირებულება არის, აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

დაშვებები და ძირითადი პრინციპები

- აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასება ეფუძნება ობიექტურ საბაზრო ინდიკატორებს.
- გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება არის თანხა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია აქტივის გაყიდვის შედეგად საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებულ გარიგებაში, რომელიც შემცირებულია გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით.
- გასვლის დანახარჯები შესაძლოა მოიცავდეს იურიდიულ დანახარჯებს, მოსაკრებლებს იურიდიული დოკუმენტების გაფორმებაზე და გარიგებასთან დაკავშირებით გადასახდელ სხვა ანალოგიურ გადასახადებს, აქტივის გადატანის დანახარჯებსა და პირდაპირი დანახარჯებს.

მაგალითი: საწარმოს მფობელობაში არსებული სატვირთო ავტომანქანის მსგავსი სატვირთო ავტომანქანის საბაზრო ფასი, აქტიურ მეორადი გაყიდვის ბაზარზე არის ამ აქტივის საბაზრო ღირებულება. ხოლო, სატვირთო ავტომანქანის გაყიდვასთან დაკავშირებული ლიცენზიისა და საკუთრების უფლების გადაცემის საფასური კი წარმოადგენს აქტივის გაყიდვის დანახარჯებს.

ანაზღაურებადი ღირებულება - საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასება

განყოფილება 3 - ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

ფუნქციონირებადი საწარმო - ანაზღაურებადი ღირებულება

- 3.5 როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ საწარმო არ არის ფუნქციონირებადი საწარმო, მან ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ანაზღაურებადი ღირებულების ~~ისეთი~~ საფუძვლით, ~~რომელიც ასახავს ამ ფაქტს~~, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლიკვიდაციის პროცედურა ჯერ არ დაწყებულია. აღნიშნული საფუძველი ითვალისწინებს რომ, აქტივები შეფასებულია ანაზღაურებადი ღირებულებით და ვალდებულებები შეფასებულია იმ თანხის ოდენობით, რაც საჭიროა ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.
- 3.6 | თუ ფინანსური ანგარიშგების შედგენას გადაწყვეტს საწარმო, რომელიც ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება, მან ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ანაზღაურებადი ღირებულების ~~ისეთი~~ საფუძვლით, ~~რომელიც ასახავს იმ ფაქტს, რომ საწარმო არ არის ფუნქციონირებადი საწარმო.~~

ანაზღაურებადი ღირებულება

განყოფილება 6 - მარაგები

მარაგის გაუფასურება

6.10 **გაუფასურება** – საწარმომ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მარაგები, ანუ მათი საბალანსო ღირებულება არის თუ არა სრულად **ანაზღაურებადი** (მაგალითად, მარაგის დაზიანების, მოძველების ან გასაყიდი ფასის შემცირების გამო). როდესაც მარაგი გაუფასურებულია, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს გასაყიდი ფასით, რომელიც უნდა შემცირდეს მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით, ხოლო გაუფასურების ზარალი, ხარჯის სახით, მაშინვე აღიაროს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

ანაზღაურებადი ღირებულება - მარაგები

განყოფილება 6 - მარაგები

გაუფასურება

მაგალითი

საცალოდ მოვაჭრე საწარმო A 20X0 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს სამ სხვადასხვა მარაგს (X, Y და Z). სავარაუდოა, რომ მარაგის ყველა ელემენტი გაიყიდება. კომპანიამ განსაზღვრა ამ მარაგისთვის მოსალოდნელი გასაყიდი ფასი შეძენის დროს 31 დეკემბრის მდგომარეობით. შედეგები მოცემულია ხრილში 1.

	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი გასაყიდი ფასი შეძენის დროს	მოსალოდნელი გასაყიდი ფასი 31 დეკემბრის მდგომარეობით	გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები 31 დეკემბრის მდგომარეობის
მარაგი X	70	80	64	4
მარაგი Y	86	88	94	10
მარაგი Z	150	200	180	22

ანაზღაურებადი ღირებულება - მარაგები

განყოფილება 6 - მარაგები

გაუფასურება

მაგალითი

გაუფასურების ზარალის შეფასება ეფუძნება მარაგის ელემენტის საბალანსო ღირებულებისა და მისი ჩვეული საქმიანობის პროცესში შეფასებულ გასაყიდ ფასს გამოკლებული შეფასებული დანახარჯები დასრულებისთვის და შეფასებული დანახარჯები გაყიდვისთვის შედარებას, როგორც წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

	მარაგი X	მარაგი Y	მარაგი Z
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	70	86	150
მოსალოდნელი გასაყიდი ფასი 31.12.2020	64	94	180
გაყიდვის დანახარჯები, 31.12.2020	4	10	22
გასაყიდი ფასი, პროდუქციის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით	60	84	158
გაუფასურების ზარალი	10	2	-

ანაზღაურებადი ღირებულება - მარაგები

განყოფილება 6 - მარაგები

გაუფასურება

მაგალითი

2020 წლის 31 დეკემბერს გაუფასურების ზარალის მუხლობრივად ასაღიარებლად, საწარმო გააკეთებს შემდეგი სახის გატარებას:

დ. გაუფასურების ზარალი - შემოსავლების, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	- 12,000 ფე
კ. მარაგი	- 12,000 ფე

ანაზღაურებადი ღირებულება - არაფინანსური აქტივები

განყოფილება 9 - არაფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურება

- 9.2 საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ არაფინანსური აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს. თუ არსებობს ამგვარი ნიშანი, საწარმომ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით უნდა განსაზღვროს აქტივის ~~საბაზრო ღირებულების~~ ~~საიმედოდ შეფასებული ოდენობა~~ ანაზღაურებადი ღირებულება.

ანაზღაურებადი ღირებულება - არაფინანსური აქტივები

განყოფილება 9 - არაფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურება

9.4 როდესაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება საწარმოს მიერ საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივის **საბაზრო ანაზღაურებადი** ღირებულების საიმედო შეფასებას, მაშინ საწარმომ **აქტივის საბალანსო ღირებულება აღნიშნული სხვაობით** უნდა შეამციროს **საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით განსაზღვრულ აქტივის საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასების ოდენობამდე აქტივის საბალანსო ღირებულება** და ამგვარი გაუფასურების ზარალი ხარჯის სახით მაშინვე უნდა აღიაროს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.